განკარგულება:**g-31.31221791**
თარიღი:**28/06/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №40

2022 წლის 28 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტურქტურული პროექტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2022 წელს რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

№	დასახელება	სავარაუდო ღირებულება
1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა- სოფ. შუხუთიდან სოფ. გაგურის ცენტრამდე	4916742
2	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა- სოფ. გაგურის ცენტრიდან სოფ. ნაგომარის ხიდემდე	2430645
3	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა- სოფ. გაგურის ცემტრიდან სოფ. ზომლეთის საზღვრამდე	1998899
ჯამი		**9346286**